

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა

და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 13

ქ.ვანი თავისუფლების N65

12 ნოემბერი 2019 წელი

12: 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, დავით ხარძეიშვილი, შოთა გიორგაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: მალხაზ ცერცვაძე, პაატა ხურციძე, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტკარაძე, სანდრო ხურციძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/**დანართი N1/**

მოწვეული პირი:

ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **გიგა გოგიბერიძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. მთისძირში მდებარე 7865 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 501.4 კვმ შენობა-ნაგებობის (31.03.23.220) ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანებაზე“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: **ზვიად კაპანაძე**

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, „ქ. ვანში, ჭავჭავაძის ქუჩა N 42-ში მდებარე 731 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ 31.01.26.214) ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანებაზე“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის თაობაზე.

მომხს: **ზვიად კაპანაძე**

3. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძულუხში მდებარე სახელმწიფო საკუთრების 3012 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 31.19.22.003) მოსარგებლისგან, სსიპ ძულუხის საჯარო სკოლისგან სარგებლობაში მიღებული N 1 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე მდებარე 158.9 კვმ ფართის ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანებაზე“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის თაობაზე

მომხს: **ზვიად კაპანაძე**

გადაწყვეტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ მეორე და მესამე საკითხებთან დაკავშირებით მომხსენებლმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. მთისძირში მდებარე 7865 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 501.4 კვმ შენობა-ნაგებობის (31.03.23.220) ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანებაზე“ , „ქ. ვანში, ჭავჭავაძის ქუჩა N 42-ში მდებარე 731 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ 31.01.26.214) ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანებაზე“ და ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძულუხში მდებარე სახელმწიფო საკუთრების 3012 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 31.19.22.003) მოსარგებლისგან, სსიპ ძულუხის საჯარო სკოლისგან სარგებლობაში მიღებული N 1 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე მდებარე 158.9 კვმ ფართის ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანებაზე“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის თაობაზე.

მომხსენებლმა აღნიშნა ,რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთები უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცეს წარმოდგენილ საბავშვო ბაღებს.

კომისიის მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ დაფიქსირებულა

მომხრე - 8

წინააღმდეგი-არცერთი

დაადგინეს:

მიეცეს თანხობა დღის წესრიგით წარმოდგენი საკითხებს

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გია გოგიბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე